1936

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი




1 9 3 6 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# „პიონერი“

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და
საქართველოს განსახკომის
ერთთვიური ჟურნალი

№ 7
ივლისი—1936
წელიწადი მე-11
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა
„კომუნისტი“
რედაქციის მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 34
ტელ. № 3-02-61

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შ ი ნ ა ა რ ს ი


1. კოჯორის ბანაკში (ნარკვევი) — დ. შამათავა . . . . . . . . 1
2. კრაზანა (ლექსი) — ი. გრიშაშვილი . . . . . . . . . . . 2
3. ვალოდია კოკინაკის გაფრენა სტრატოსფეროში — ტექნიკოსი . . 3
4. ოზირისის სამეფოში — შ. მარიანიშვილი . . . . . . . . 5
5. უცნაური მოვლენები — შ. თაბუკაშვილი . . . . . . . . . 9
6. ვინაა ლამაზი? — ნ. ტყეშელაშვილი . . . . . . . . . . 12
7. საღამო ზღვაზე (ლექსი) — სანდრო ეულენტი . . . . . . . . 13
8. ერთი შემთხვევა ვაკას ცხოვრებიდან — ბუქურაული . . . . . 14
9. ნიკოლოზ ოსტროვსკის (ლექსი) — კ. ჭანტურიშვილი . . . . 14
10. ეს იყო მისი მეცხრე სიმფონია — თარგმნილი ფრანგულიდან ს. ბედუკაძის მიერ . . . . . . . . . . . . . . . . . . 15
11. ცოცხალი ტყუილი (ზღაპარი, ჩაწერილი იმერეთში გ. ლომთათიძის მიერ) . . . . . . . . . . . . . . . . . . 16
12. მუსიკალური გამოცანა — თ. შავერზაშვილის გარეკანის . . მე-4 გვ.


ჟურნალი გაფორმებულია მხ. ს. ქოქიაშვილისა და გ. კახიძის მიერ.

პ/მგ. რედაქტორი. მ. თომაძე

პ/მგ. მდივანი: ელ. აგლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# კოჯორის ბანაკში

**დ. შამათავა**

უკან დარჩა მზეზე გაფიცხებული ოქროსფრად მოელვარე ყანები, მუქ-ცისფერ ყვავილებში ყაყაჩოებ შერეული ვრცელი მინდვრები და მტკვრის ხეობაში მოქცეული ივლისის მზით ალმოდებული ტფილისი.

ავტობუსი გუდრონით მოფენილ შარაზე შედგა. ქუჩის ორივე მხარეზე ტყეები და ხეხილებია... კოჯრის მაცოცხლებელი ნიავი ქრის. ეს აგარაკი 1300 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ზღვის დონედან.

გზის ორივ მხარეს ხშირ ბაღებში მოჩანს სახლები. მოაგარაკენი დილით ადრე გამოფენილან ეზოებში და ტკბებიან კოჯრის ჰაერით. განსაკუთრებით ბევრია ბავშვი, სანატორიუმები, ბანაკები და საბავშო ბაღები.

ავტობუსიდან რომ ჩამოვხტით, პატარა წითელყელსახვევიანი ბიჭი გამოგვეცნაურა, მხიარულად შემოგვცინა და პიონერთა ბანაკისაკენ გაგვიძღვა.

— აი, აქ არის ტფილისის კომკავშირის სახელობის პიონერთა მეორე ბანაკი, 135 პიონერით, ხოლო ქვევით, უძოში, პირველი ბანაკია, იქ ჩვენზე მეტი არიან—300 პიონერი ერთად!

გზის პირად მდგარ რცხილაზე მიკრულია დაფა წარწერით: „გარეშე პირთა შესვლა აკრძალულია“. ბიჭუნა ბანაკის ეზოში შეგვიძღვა. პატარები უკვე ამდგარან, ეზოში ერთი ჟივილ-ხივილია. მთავარ კორპუსთან რომ მივედით, პატარა ბიჭმა ბანაკის ხელმძღვანელები გაგვაცნო.

— კარგ დროს მოხვედით, ამხანაგებო! სრულ ცხრაზე, დროშის აღმართვა გვაქვს. წამოდით, ნახეთ,— მიგვიპატიჟა პიონერთ ხელმძღვანელმა ლევა პაიჭაძემ.

საყვირმა პიონერებს მოუხმო. რამდენიმე წუთში პიონერები დაირაზმნენ ანძასთან, ოთხკუთხედის მსგავსად. რაზმის ხელმძღვანელებმა პიონერხელმძღვანელს უპატაკეს, ხოლო უკანასკნელმა კი ბანაკის ხელმძღვანელ ქალს, მარო გუმბარაშვილს მისცა პატაკი ბანაკის მდგომარეობის შესახებ. შემდეგ, დღის რეჟიმი რომ გამოცხადდა, მთელმა ბანაკმა „ინტერნაციონალი“ იმღერა, მღეროდნენ სამ ენაზე ერთად, ნაციონალობის მიხედვით, სისხლისფერი, წითელი აბრეშუმის დროშა კი აფრიალდა

დღეს, დღიურის თანახმად, ბანაკი ექსკურსიას აწყობს კოჯრის ტერიტორიის გასაცნობად. ორი დღის წინ ექსკურსია მოუწყვიათ ქოროღლის ციხის დასათვალიერებლად, რასაც პიონერებზე კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია. ბევრს კიდევაც დაუხატავს ქოროღლის ციხის ნანგრევები...

ოქტომბრელები კი იმ დღეს სამხედრო ქალაქში წაუყვანიათ, რადგან პატარებისათვის ძნელი იყო შორს წასვლა ქოროღლის ციხემდე. ამ დღეებში ბანაკი კიდევ ახალ ექსკურსიას მოაწყობს: პიონერებმა მონასტერი უძო უნდა ნახონ და შეისწავლონ.

ბანაკში მრავალნაირი წრეა, და ბავშვები ხალისით მონაწილეობენ: მღერიან, ცეკვავენ, ხატავენ და ერთი წუთითაც არ გრძნობენ მოწყენას. მშვენივრადაა დასურათებული ბანაკის კედლის გაზეთი „ბანაკის ხმა“, პატარა მხატვრებმა გ. სარქისოვმა, ს. ოგანეზოვმა და რ. აგარონოვმა რომ დახატეს.



ქოროღლის ციხე.
ნახატი პიონერ **გ. სარქისოვისა.**

კედლის გაზეთში ლექსებიც არის. ბანაკს ჰყავს პოეტებიც — დ. ხრობროვიცკი, ს. გულოიანი და სხვები.

თავისუფალ საათებში ბანაკი „ჩაპაევობას“ და „კამოს“ თამაშობს. არის ერთი ჟრიამული და სიხარული. ეს თამაშობანი ყველაზე მეტად უყვართ პატარებს...

განსაკუთრებით სიხარულით ხვდებიან პიონერები კოცონის გამართვას; ამ თვეში მეორედ მოეწყობა ის, და ბავშვები მოუთმენლად მოელიან სასურველ დღეს...

ასეთი სიხარულია აქ, და ყოველ დასვენების დღეს მშობლები რომ ესტუმრებიან პატარებს, ისინი აღტაცებით უამბობენ ბანაკში გატარებული დღეების შესახებ.

— მოგწონს ბანაკი? ხომ არ მოგეწყინა აქ?—შევეკითხეთ პატარა ცისფერბანტიან გოგონას.

—არა, არ მომეწყინა, ბანაკში კარგია!—თქვა და გაიქცა ტოლებთან სათამაშოდ. და მართლაც აქ ურჩევნიათ მათ, მრავალი მეგობარი რომ გაუჩნდათ ამ სუფთა და ჯანსაღ ჰაერზე. შემოდგომაზე კი ჯანსაღი, მზეზე ხორბლისფრად გარუჯული სხეულით, ახალი ენერგიით და სიხარულით შეხვდებიან სკოლის პირველ ზარს...

მანამ კი, ვიდრე ზაფხულის მცხუნვარი მზე აჭერს, ვიდრე ტფილისში მტვერი და ბული დგას, ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ბავშვები ბანაკად ატარებენ მხიარულ დღეებს. მთის ჯანსაღი ჰაერი, მზე და წყალი აკაჟებს და ამტკიცებს ნორჩი თაობის მოზარდ სხეულს...

კოჯრის პიონერთა ბანაკი ერთი საყვარელი ადგილთაგანია ბავშვთათვის, სადაც დილიდან საღამომდე არ ცხრება პიონერთა ხმა, აღტაცება, და სიხარული...

---



# ქრაზანა



**ი. გრიშაშვილი**

ჩემს ბაღჩაში ჩემს ყვავილებს
შეეჩვია ერთი მწერი,
მოზუზუნე, მოფუსფუსე,
ზოლიანი, ალმაცერი.

პეპლებს ახლო არ იკარებს,
დაირეკა მწერთა ხროვა.
დღედაღამე ყვავილს უზის
აბეზარი, მუქთახორა!

პირველად რომ ჩამოფრინდა
და მონახა ჩემი ბინა—
სუსტი იყო, ქლექიანი,
უგერგილო პაწაწინა.

დღეს ამაყად დასეირნობს,
ყვავილის გულს წუწნის მუქთად.
საძაგელი, ონავარი,
გაივსო და გამისუქდა.

ამბობენ, რომ როცა კაცს ჰკბენს—
ნესტარს ასობს და თვით კვდება.
იმედია, ჩქარა დამკბენს
და ბაღიდან აღიგვება.



# ვალოდია კოკინაკის გაფრენა სტრატოსფეროში[1])

ტექნიკოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ძირს ყოველივე ზედმეტი

ვალოდიამ შეისწავლა თვითმფრინავი თითოეული ჭანჭიკამდის. გამოსაცდელმა მუშაობამ გამოარკვია, რომ თვითმფრინავს ბევრი ნაკლი და ზედმეტი ნაწილი ჰქონდა. საჭირო იყო თვითმფრინავის გამარტივება. „ძირს ყოველივე ზედმეტი“ — ასეთი იყო ვალოდიას მიზანი. მიზანი საქმედ აქცია. თვითმფრინავი გაათავისუფლა ყოველივე ზედმეტისაგან, ურომლისოდაც თვითმფრინავი მაინც იმუშავებდა და არც თუ ცუდად. ასეთი ნაწილები კი ვალოდიამ ბევრი აღმოაჩინა.

რატომ აირჩია ვალოდიამ სწორედ ასეთი თვითმფრინავი? ამის შესახებ თვით ვალოდია გვიპასუხებს.

„ეს თვითმფრინავი უპატრონოდ იყო მიტოვებული: იგი ამ ტიპის თვითმფრინავთა პირველი ეგზემპლიარი იყო. არავინ მას ყურადღებას არ აქცევდა, არავის იგი აღარ ესაჭიროებოდა. ამიტომ მე არავინ დამიშლიდა ის გამეკეთებია, რაც მსურდა“.

რაღაცას აკეთებს კოკინაკი — დაე გააკეთოს! იატაკი გამოაღადრა — დაე.

დასაჯდომის ნაცვლად რაღაცა თეფში მიაკერა — იყოს ასე 10 ათას მეტრზე წავა, 11000 თუ 12000, ან 13000 მეტრზე — წავიდეს. ნახევარი საათი იფრენს? ასე იყოს! ორნახევარ საათს იფრენს? ეგრე იყოს! რისთვის და რატომ აკეთებს იგი ამას — ეს არავის ესაქმება.

თვითმფრინავი მოაწესრიგა.

რამდენჯერმე გაფრენაც მოაწყო. ყველაფერი წარმატებით ჩატარდა. ყოველი გაფრენის შემდეგ დაწვრილებით ირკვევდა იმას, თუ რის მოხსნა შეიძლება კიდევ თვითმფრინავიდან.

დაიწყო მსხვილმანებით და წვრილმანებსაც მიადგა. ზოგიერთი რამ ოცგრამიანიც კი მოაშორა თვითმფრინავს, ისე რომ თვითმფრინავი განტვირთა ყოველივე ზედმეტისაგან და ამით გაამსუბუქა იგი. სიმსუბუქეს კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს სიმაღლეზე ფრენის საქმეში!

### საწვავის ეკონომია და ხრახნის ბიჯი

ვალოდიამ ყურადღება მიაქცია აგრეთვე საწვავის დაზოგვასაც. ამისათვის მან რამდენიმე გაფრენა მოაწყო, რათა გამოერკვია საწვავის დაზოგვის საკითხი. შეარჩია მოტორის მუშაობის რეჟიმი. შეამცირა საწვავის ხარჯი და ამით თავი გაითავისუფლა ზედმეტი საწვავის წაღებისაგან.

ბევრი დრო დაიხარჯა აგრეთვე ხრახნის ბიჯების (დაშორების) შესახებ. მოითხოვა მან თეორიული გაანგარიშება, მაგრამ უარი მიიღო. ვერ შეუსრულეს. უთხრეს ეფრინა ნორმალური დანადგით. დასაწყიში ასე დაფრინავდა კიდევაც, მაგრამ საქმე ვერ მიდიოდა კარგად. ადგა და ხრახნები თვითონ გადაადგილა. როცა ვალოდიას თვითნებური ნაბიჯის კარგი შედეგი გაიგეს, უთხრეს: „იფრინე ეგრე“. ვალოდია კმაყოფილი იყო წარმატებით. მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა იგი. კიდევ შეიტანა ხრახნის დაშორებაში ცვლილებანი. შედეგები ბრწყინვალეა. ზოგჯერ ისიც ხდებოდა, რომ ერთხელ, ვთქვათ, ხრახნის გადაადგილებით ასი მეტრი მოიგო, მეორე დღეს იმავე მდომარეობაში. რომ აფრინდებოდა, ხედავდა, რომ 50 მეტრი წააგო. ამგვარად ადამიანს ათამაშებდა უბრალო ხრახნი.

დღეში ორჯერ გაფრენა ძნელია. ძნელია არა თუ დღეში ორჯერ ასვლა, არამედ ყოველდღე გაფრენაც კი. მიუხედავად იმისა, რომ ვალოდია დატვირთული იყო საზაფხულო სამუშაოებით, მან ოც დღეში ორიათასზე მეტი გაფრენა მოაწყო. ეს დიდი დატვირთვაა არა მარტო ადამიანისათვის, არამედ თვით მანქანისათვისაც. ზოგჯერ ამ გატაცებულ მფრინავს 140 აფრენა უხდებოდა. 140-აფრენა! ხუმრობა საქმე კი არ არის! კარგ ხასიათზეც რომ იყოთ, ფუნიკულიორზეც კი არ ახვალთ-140 ჯერ, არამც თუ სტრატოსფეროში.

მოტორმა დიდი დრო წაართვა ვალოდიას. დიდი ბრძოლისა და მუშაობის შემდეგ გამოარკვია ზეთის ის უმცირესი რაოდენობა, რომლითაც შეიძლება გაფრენის მოწყობა.

ერთ კაცში ამდენი რამის შეთავსება აღემატება ადამიანის შესაძლებლობას, მაგრამ ვალოდიამ შეძლო მეტად ბრწყინვალედ შეეთავსებია ეს მრავალფეროვანი, მეტად რთული საკითხები.

### მიწაზე დაშვება უმოტოროდ

სიმართლე რომ ითქვას, უმოტოროდ მიწაზე დაშვება ძნელ საქმეს არ წარმოადგენს, მაგრამ ვალოდიასათვის ეს საკმაოდ ძნელი იყო, რადგან მან თავისი თვითმფრინავი ყველა ზედმეტი ნაწილისაგან განტვირთა, რითაც დაარღვია მანქანის წონასწორობა. სიმძიმის ცენტრი მანქანის წინა ნაწილზე გადავიდა და მიწაზე უმოტოროდ დაშვებისას თვითმფრინავი ცხვირით მიდიოდა მიწისაკენ. საჭიროა თვითმფრინავი, როგორც იტყვიან, „სამ წერტილზე“ დაჯდეს, ე. ი. წინა ორ თვალსა და უკანა კაპზე. სხვანაირად არ შეიძლება, რადგან თუ თვლებით დაეშვა მანქანა, იგი აუცილებლად აყირავდება და.... მშვიდობით!

ვალოდია იმდენს ეცადა, რომ მიაღწია ჰაეროდრომზე მოტორამორთულ დაშვებას. ბოლოს და ბოლოს ეს ხელოვნებისა და ცოდნის საქმეა. კარ-

---

[1]) დასაწყისი იხილეთ „პიონერი“ № 6

გად გამოიანგარიშე: მოძრაობა, მანქანის მდგომარეობა, გაასწორე სათანადო სიმაღლეზე, გამართე მოტორი და მშვიდობით ჩამოხვალ მიწაზე. მაგრამ თუ შეგცდა ანგარიში, მაშინ ვეღარაფერი გიშველის. ავარია აუცილებელია.

ერთხელ, როცა ჰაეროდრომის ნახევარი დაკავებული იყო, ვალოდია დაბლა დაეშვა. მანქანის კუდი ზევით მოექცა, როგორც ფლუგერი. დაჯდა თუ არა მიწაზე, გაირბინა 5 მეტრი და თვითმფრინავი 180 გრადუსით შემოტრიალდა და ცხვირზე დაბზრიალებას აპირებდა. შეკრთა ვალოდია. მას ეგონა, რომ თვითმფრინავი აუცილებლად გადაბრუნდებოდა. იძალა ვალოდიამ, კუდი დაუშვა დაბლა. საქმე მშვიდობიანად დამთავრდა. ამის შემდეგ ვალოდია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არ შეიძლება დაჯდომა ქარის წინააღმდეგ.

### ფრენა ურადიატოროდ

მოტორის მუშაობა ურადიატოროდ[1]) სახიფათო საქმეა, მოტორი გადახურდება. ერთხელ ვალოდიამ მოტორი ურადიატოროდ აამუშავა. ავიდა 6000 მეტრზე. ზევით წასვლა აღარ შეიძლებოდა: გადახურდა მოტორი. გაციების მიზნით თარაზულად წავიდა. მიზანი სწორია.

მოტორი გაგრილდა. შემდეგ კიდევ 1000 მეტრი მიუმატა. შემდეგ ისევ სწორხაზობრივად წავიდა. მაგრამ მეტი ცდა აღარ შეიძლებოდა. ამ საკითხის შესწავლამ დიდი დრო მოინდომა.

საჭირო იყო ახალი ცდა. ცილინდრების თავები ისე უნდა გამთბარიყო, რომ მოტორში მიმდინარე ნაზავი (ბენზინი, ჰაერთან შერეული) თბილი ყოფილიყო. ამით მოტორის სიმძლავრე იმატებს. სცადა, შედეგი პირიქით მიიღო—ცილინდრთა თავები ცივია, მოტორი გადახურდა, ნაზავი კი ცივდება. საჭირო იყო ისეთი რამის გამოგონება, რომ ყოველივე ეს შებრუნებულიყო და წონაც არ მომატებოდა თვითმფრინავს.

საჭირო იყო დიდი სიფრთხილე. ზეთით გადახურებას შეიძლება ბენზინის აფეთქება მოჰყვეს.

ვერ გადმოხტები თვითმფრინავიდან. ჟანგბადიანი ხელსაწყოთი ვერ გადმოხტები, იგი თვითმფრინავზეა მიმაგრებული, ხოლო უმისოდ გადმოხტომას არავითარი აზრი არ აქვს, რადგან, სულერთია მოკვდები, გაიშვიათებულ ჰაერში, თვითმფრინავთან ერთად ჩამოვარდნაც ხელსაყრელი არ არის—სიკვდილი მაინც აუცილებელია. სიკვდილი, სიკვდილი ორივე შემთხვევაში.

### ზრუნვა საკუთარ თავზე

საჭიროა მანქანაზე ზრუნვა და ფიქრი, მაგრამ საკუთარი თავიც არ უნდა დაივიწყო. ორივეა საჭირო. ეს კარგად შეიგნო ვალოდიამ და დაიწყო თავისი დღისწესრიგის განაწილება: ილვიძებდა $9^1/_2$ საათზე, იძინებდა ღამის 2 საათზე. 10 საათზე საუზმე. გავიდა დრო, და ვალოდიამ შეამცირა ძილის რაოდენობა. მისი დილის კვება შეადგენდა.... ერთ ჭიქა კაკაოს.

გაძღომა პილოტისათვის არ ვარგა: სიმაღლეზე ყოფნისას ტკივილები იგრძნობა; მშიერი ყოფნაც არ ვარგა.

სადილობის დროც გადაწია ვალოდიამ. საღამოს 6—7 საათი—აი სადილობის დრო. ასე დაამყარა მტკიცე რეჟიმი კვების დარგში.

მაგარი სასმელები ფრენისას არ ვარგა. „ამ დროს—ამბობს ვალოდია,—არ ვსვამდი და სხვებსაც არ ვურჩევდი. ვამოწმებდი ყოველივე ამას: საღამოთი დავლიე ერთი ბოთლი ღვინო, დილით შემოწმებაზე წავედი, გამსინჯეს მაღალი წნევის გამძლეზე. ცუდად შევიქენი. დავრწმუნდი, რომ ღვინო გავლენას ახდენს პილოტზე არა მარტო მეორე დღეს, არამედ ორ დღე-ღამეს მაინც მოქმედობს, ამიტომ მოვსპე ალკოჰოლის მიღება".

### ტანისამოსი

გაფრენისათვის საგანგებოდ შეკერილი ტანისამოსით უნდა გამოეწყოს პილოტი. ნუ იფიქრებთ, რომ ეს გამოწყობა იმიტომ არის საჭირო, რომ იქ რაღაცა სეირნობა იქნება და ხალხს უნდა ეჩვენო. არა, მაღლა, როგორც ვთქვით, ცივა, საკმაოდ ცივა. ამას დაუმატეთ ის, რომ თვითმფრინავი არაჩვეულებრივი სისწრაფით მიქროლავს ჰაერში. მაშასადამე, საჭიროა თბილად ყოფნა.

ერთი გაფრენის დროს ვალოდია ასე შეიკაზმა: ფეხებზე აბრეშუმის წინდები და მასზე კიდევ ჩაიცვა ბეწვის ორმაგი პაიჭები, ბატკნის ტყავისაგან შეკერილი კომბინიზონი, ბეწვის მუზარადი თავზე ჩამოიცვა და ჟანგბადის მომწოდებელი ნიღაბიც მოირგო. ხელებზე ჯერ შალის და შემდეგ ბეწვის ხელთათმანები ჩაიცვა.

არ შეიძლება პილოტს შემოსხეპილი ტანისამოსი ეცვას, როგორც ზოგიერთ მიწაზე მოსიარულეს, საპნით რომ იცვამს წაღებს, ქუჩაში ძლივს დაიარება და შემდეგ გახდას ორი მხნე ვაჟკაცი ესაჭიროება.

თვითმფრინავზე ეს შეუძლებელია.

პილოტი ხალვათად უნდა გრძნობდეს თავს. ტანისამოსი სულ მთლად პილოტს უნდა ემორჩილებოდეს და არა პირიქით.

ის, რაც მიწაზე ოდნავად მჭიდროა, ოდნავად აწუხებს ადამიანს, სიმაღლეზე ერთი-ორად იზრდება, ადამიანს ტკივილები აწუხებს.

მეტი სიხალვათეც უნაყოფოა. თუ ნიღბები კარგად არა გაქვთ სახეზე მორგებული, ფრენის დროს სახეზე ჩამოგეფხატება და ჰაერის შეშვებას დაიწყებს, ეს კი მეტისმეტად ცუდია.

[1]) რადიატორი მანქანის ნაწილია, წვრილი მილებისაგან შემდგარი, რომელშიც ცივი წყალი გადის და ამით აციებს მოტორს. ალბათ გინახავთ ავტომანქანებს წინ აქვთ ბადის მაგვარი ფარი გაკეთებული. ამ ნაწილს რადიატორი ჰქვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოზირისის სამეფოში

## შალვა მარიანიშვილი

(წიგნიდან „ეგვიპტელები“)

უხსოვარ დროიდან ეგვიპტელებს ღრმად წამდათ ადამიანის სიცოცხლის მარადიულობა. ქურუმების შთაგონებით ამ ქვეყანას ისინი „დროებით სამეფოს“ ეძახდნენ, სადაც ადამიანი უნდა მომზადებულიყო ძალიან შორს, „ოზირისის სამეფოში“, გასამგზავრებლად.

ეგვიპტელებს ეგონათ, რომ მითური (გამოგონილი) პირი ოზირისი ოდესღაც ეწეოდა მიწიერ ცხოვრებას და მეფობდა ეგვიპტეში. ცოლად ჰყავდა ქალ-ღმერთი იზიდა. როგორც ოზირისი, ისე იზიდა დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ეგვიპტეში. მათ ეძახდნენ „ბრწყინვალე მზის ღმერთს“, „ჩაგრულთ მფარველთ“, „ქვეყნად სიკეთისა და ბედნიერების მომფენთ“ და სხვ. ქურუმებმა მათზე ლეგენდარული თქმულება შეთხზეს და ხალხში გაავრცელეს. აი მოკლედ ამ ლეგენდის შინაარსი: უხსოვარ დროიდან ეგვიპტეს ბუნება ჯერ კიდევ არ იყო აყვავილებული, მისი მოსახლეობა ველურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ცხოვრობდნენ გაჭირვებულად, იკვებებოდნენ ბალახით და თევზებით. შიმშილობის ნიადაგზე გახშირებული იყო კაციჭამიობა. მაგრამ აი ა მ უ ნ ი ს (მთავარი ღმერთის) ბრძანებით იშვა ოზირისი. მან მოკლე ხანში გაანათლა ეგვიპტელები, გადააჩვია ცუდ ზნე-ჩვეულებას და მრავალ სასარგებლო საქმეს შეაჩვია. ამ საქმეში მას დაუღალავად ეხმარებოდა მისი ცოლი და მეგობარი—მშვენიერი იზიდა.

ოზირისს ჰყავდა ერთი ავი ძმა—სეთი. ბოროტმა სეთმა განიზრახა ოზირისის მოკვლა და მის მაგივრად გამეფება. თავისი ხალხის დახმარებით ჩქარა შეასრულა ეს განზრახვა: მოჰკლა ოზირისი, მისი გვამი დაჩეხა 26 ნაწილად და ტყეში გადააყრევინა. გაუბედურებულმა იზიდამ დიდი ხნის ძებნის შემდეგ იპოვა დაღუპული მეუღლის გვამი, შეაგროვა ყველა ნაწილი და მოიხმო თავისი შვილი ჰორუსი. ღმერთების შთაგონებით დედამ და შვილმა ოზირისის გვამისაგან გააკეთეს მუმია (მუმიის შესახებ იხ. ქვევით). ამრიგად, პირველი მუმია იზიდამ და ჰორუსმა გააკეთეს. იზიდამ გაგზავნა თავისი შვილი მამის მკვლელობისათვის შურის საძიებლად. ჰორუსმა შეყარა ჯარი და შეებრძოლა თავის ვერაგ ბიძას სეთს. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ჰორუსმა დაამარცხა მოწინააღმდეგენი და თვით სეთს თავი მოჰკვეთა.



ოზირისი

გამარჯვებული ჰორუსი ეხლა თავის მამის მუმიას, ეამბორა და სეთის დამარცხება უამბო. მოხდა სასწაული: ოზირისი გაცოცხლდა, მისი სხეული მზესავით გაბრწყინდა და ზეცისაკენ იწყო ამაღლება, ოზირისს იზიდაც თან გაჰყვა, რომელსაც უეცრად ფრთები გამოესხა. ჰორუსი კი ეგვიპტეში დარჩა ხალხის კეთილდღეობისათვის...

ამრიგად, ეგვიპტელების წარმოდგენით, იყო მეორე ქვეყანა, დასავლეთით, ლივიის მთებს იქით, სადაც ადამიანი მარადიულად ცოცხლობდა სრული განცხრომით და შვებით. ამ ქვეყანას ისინი ოზირისის სამეფოს უწოდებდნენ. ქურუმები ასწავლიდნენ ადამიანი ორჯერ კვდებაო. ვიდრე სხეული გაუხრწნელია, სული განაგრძობს არსებობას, მაგრამ როგორც კი სხეული იწყებს გახრწნას, სულიც თანდათან იფიტება და ბოლოს იღუპებაო. ამიტომ ეგვიპტელებს ეგონათ, რაკი სხეულს დაიცავდნენ გახრწნისაგან, „სულიც“ იცოცხლებდა და, მაშასადამე, ადამიანიც „უკვდავი“ იქნებოდა. რომ ადამიანის გვამი გახრწნისაგან დაეცვათ, სხვადასხვა ხელოვნურ საშუალებას მიმართავდნენ, როდესაც რომელიმე ეგვიპტელი გარდაიცვლებოდა, ნათესავები იმ დღესვე გვამს წაიღებდნენ ქალაქ ფივში, ე. წ. „მკვდართა ქალაქში“ [1]), ამ ქალაქში იყო უამრავი სახელოსნო, სადაც ხდებოდა გვამის ხელოვნურად გამოშრობა. სახელოსნოს ოსტატები, როგორც კი შეკვეთას მიიღებდნენ, დაუყოვნებლივ შეუდგებოდნენ თავისი არასასიამოვნო საქმის შესრულებას. ჯერ გვამს გაჰკვეთავდნენ და კუჭნაწლავებს, გულს და ფილტვებს ამოართმევდნენ; ცხვირის ღრუში მახვილი კოვზის შეყოფით თავიდან ტვინს გამოფხეკავდნენ და შემდეგ პალმის ღვინით გამორეცხავდნენ.



ქალღმერთი იზიდა თავის შვილ ჰორუსით.

---

[1]) მდინარე ნილოსი ქალაქ ფივს ორად ყოფდა. მარჯვენა ნაპირზე იყო გაშენებული ე. წ. „ცოცხალთა ქალაქი“. აქ იყო სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ცენტრი, წარმოებდა ყოველგვარი საქმიანობა, ვაჭრობა, მრეწველობა და სხვ. მარცხენა ნაპირზე კი იყო გაშენებული ე. წ. „მკვდართა ქალაქი“, სადაც ქურუმთა სამფლობელო იყო დამკვიდრებული. ამ ნაპირებზე დასავლეთით, ლივიის მთებისაკენ იყო უზარმაზარი ტაძრები. ყოველ ტაძარს ჰქონდა საკუთარი სახელოსნოები, სადაც გვამს ხელოვნურად აშრობდნენ. ტაძრების უკან მოჩანდა ლივიის მთები თავისი აკლდამებით, სადაც ხელოვნურად გამოშრობილ გვამებს ინახავდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გ ა მ ზ ა დ ე ბ უ ლ ი  მ უ მ ი ა

ამის შემდეგ გვამს ერთხანს მარილიან წყალში გააჩერებდნენ, შემდეგ ამოიღებდნენ და ნელსაცხებით (მალამოთი) მაგრად დაზელავდნენ. ზელავდნენ იმდენხანს, სანამ ნელსაცხებით გვამი კარგად არ გაიჟღენთებოდა. მუცლის ღრუს ამოავსებდნენ ზეთის მაგვარი სურნელოვანი სითხეებით და ამ ყოფით რამდენიმე დღეს აჩერებდნენ. ბოლოს დაიწყებდნენ გვამის ვიწრო ტილოებით შეხვევას. ტილოები წინასწარ ნელსაცხებით იყო გაჟღენთილი. შეხვევას იწყებდნენ თითებიდან და ბოლოს მთელ სხეულს ძალიან მჭიდროდ შეახვევდნენ. შეხვევის შემდეგ ნელსაცხებით გაჟღენთილი ტილო ჩქარა შრებოდა. ამ გზით სხეულს ჰაერის ზემოქმედებისაგან იცავდნენ და, მაშასადამე, გახრწნისაგანაც. ასეთი ხელოვნური გზით გამომშრალ გვამს მ უ მ ი ა ს ეძახიან. სიტყვა „მუმია“ არაბული წარმოშობისაა და ნიშნავს იმ ნელსაცხებთა საერთო სახელწოდებას, რომლებითაც გვამს ჟღენთავდნენ. მუმიის დასამზადებლად 72 დღე იყო საჭირო. მუმიად გამზადებული გვამი მრავალ საუკუნეს ძლებდა და ოდნავადაც არ ზიანდებოდა. მუზეუმებში ინახება ისეთი მუმიები, რომლებიც სამიოთხი ათასი წლისაა[1]) და ისე საუცხოვოდ არის შენახული, რომ მნახველს ეგონება სძინავთო...

თუ გარდაცვლილი წარჩინებული ან მდიდარი პირი იყო, მათ მუმიებს განსაკუთრებულად ამზადებდნენ და შიგნით ძვირფას სამკაულებს ატანდნენ. მუცლის ღრუში ათავსებდნენ ოქროსაგან ჩამოსხმულ კუჭ-ნაწლავებს და აგრეთვე სიღრუეს ავსებდნენ ოქროს გულით და ფილტვებით. ფრჩხილებსაც ოქროს ფირფიტებით უფარავდნენ.

გამზადების შემდეგ მუმიას ათავსებდნენ ე. წ. ს ა რ კ ო ფ ა გ შ ი (კუბოში). ჩვეულებრივ სარკოფაგი გრანიტისაგან უნდა ყოფილიყო გაკეთებული, მაგრამ ხისაგან გაკეთებულითაც კმაყოფილდებოდნენ. ეს იმისდა მიხედვით, განსვენებული რა შეძლების პატრონი იყო. სარკოფაგი განსვენებულის ტანის ზომა უნდა ყოფილიყო, ისე რომ ტანი მჭიდროდ ჩატეულიყო. მდიდრები და წარჩინებული პირები სარკოფაგს სიცოცხლეშივე იკეთებდნენ და „იმ ქვეყნისათვის“ ღირსეულად ემზადებოდნენ. თუ ვისმეს სურდა, რომ მეგობრის სიყვარული და პატივისცემა დაემსახურებია, მისი დაბადების დღეზე საჩუქრად სარკოფაგი უნდა მიეტანა. ამ საჩუქარს ეგვიპტელები ძალიან აფასებდნენ და მომტანს თავაზიანად ექცეოდნენ.

მდიდრები თავისთვის ორ-სამ სარკოფაგს იკეთებდნენ. სარკოფაგები ერთიმეორეში იყო მჭიდროდ ჩადგმული. ფარაონების მუმიებს ჩვეულებრივ სამ-ოთხ სარკოფაგში ათავსებდნენ. სარკოფაგის სახურავზე ამოჭრილი იყო განსვენებულის პორტრეტი, სარკესავით გაკრიალებულ გვერდებს ამშვენებდა იეროგლიფები—ეგვიპტური წარწერები და სურათები, აღებული განსვენებულის ცხოვრების მომენტებიდან. იეროგლიფები და სურათები ოქროთი იყო მოვარაყებული და ძვირფასი ქვებით მოჭედილი. ფარაონები ოქროს სარკოფაგებსაც იკეთებდნენ.

ღარიბების საქმე კი სხვანაირად იყო... მათ სად ჰქონდათ საშუალება, რომ სარკოფაგი გაეკეთებიათ, თუნდაც ხისა. მათ მუმიებს პირდაპირ ფიცრებზე დებდნენ და ისე ინახავდნენ საერთო აკლდამებში. მათ მუმიებსაც მარტივად აკეთებდნენ: ჩაუშვებდნენ მარილიან წყალში და დაახლოებით ორ თვემდე გააჩერებდნენ. შემდეგ ამოიღებდნენ, იაფფასიანი ნელსაცხებით გაჟღენთილ ტილოში შეახვევდნენ, და მუმიაც მზად იყო.

მუმიას სარკოფაგში სხვა ძვირფას სამკაულებთან ერთად თან ატანდნენ პაპირუსის ფურცლებზე დაწერილ წიგნს. სახელად ამ წიგნს ახლა „მიცვალებულთა წიგნს“ ეძახიან. წიგნი მუმიას თავქვეშ ჰქონდა ამოდებული. ეგვიპტელები ფიქრობდნენ, „საიქიოს“ მიცვალებულთა სულს გაასამართლებს ოზირისი, წიგნი კი დაეხმარება თავის გამართლებაშიო. წიგნში იყო ჩამოთვლილი ყველაფერი, რაც კი უნდა ელაპარაკა „სულს“ ოზირისის სამსჯავროს წინაშე, რომ თავი გაემართლებია. ამიტომ, ვისაც კი საშუალება ჰქონდა, სიცოცხლეშივე იძენდა „მიცვალებულთა წიგნს“, რომელსაც ქურუმები ყიდდნენ. წიგნი კი ძალიან ძვირად ფასობდა, მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ მისი შეძენა. უფრო ხშირად წიგნის ზოგიერთ თავს იძენდნენ. ღარიბები კი რამდენიმე გადმოწერილი ადგილითაც კმაყოფილდებოდნენ. ქურუმები მოხერხებულად იყენებდნენ ხალხის უვიცობას და შეუბრალებლად ყვლეფავდნენ მათ.

---

[1]) 1871 წელს ეგვიპტელმა ფელახებმა (გლეხებმა) შემთხვევით აღმოაჩინეს მრავალი მუმი და მასთან ერთად ძვირ ფასი სამკაულები. როდესაც დაინტერესებულმა მეცნიერებმა მუმიები გახსნეს და ზოგიერთ სამკაულზე მათი სახელები ამოიკითხეს, აღმოჩნდა, რომ ეს იყო ფარაონების მუმიები. მათ შორის იყო სახელგანთქმული ფარაონ რამზეს მეორის, მისი მამის სეთი პირველის და შვილის მენეფთახის და სხვების. ეს ფარაონები მეფობდნენ ეგვიპტეში სამი ათასი წლის წინათ. მათი მუმიებიც სამიათასი წლისაა და საუცხოვოდაა შენახული.

# მუმიას დასაფლავება

ეგვიპტელები მუმიებს მიწაში კი არ მარხავდნენ, არამედ ინახავდნენ ამისათვის წინასწარ გამზადებულ ადგილას. ფარაონები სიცოცხლეშივე აგებდნენ თავისათვის უზარმაზარ პირამიდებს, ანუ სასაფლაოებს, და შემდგომ მათ მუმიებს იქ ინახავდნენ. წარჩინებული პირნიც იკეთებდნენ პირამიდებს, მაგრამ გაცილებით უფრო მცირეს, ვიდრე ფარაონებისა. საერთოდ კი სასაფლაოები კლდეებში იყო გამოჭრილი. მდიდრებისათვის ცალცალკე იყო გაკეთებული და ძვირფასად მორთული, ღარიბებისათვის კი საერთო აკლდამა იყო გაკეთებული და იქ მათი მუმიები პირდაპირ მიწაზე ეწყო ერთიმეორის გვერდით...

დასაფლავების დღეს ნათესავები და მეგობრები დილიდანვე მუმიას ნავში მოათავსებდნენ და დაცურავდნენ მდინარე ნილოსში, რომ უკანასკნელად დამტკბარიყო მიწიური ცხოვრებით. მუმიას ნავის უკან მოცურავდა მეორე დიდი ნავი, დატვირთული სხვადასხვა საოჯახო ნივთით. ამ ნივთებით განსვენებულს „უნდა ესარგებლა საიქიოში“. ნივთები, როგორც იყო: სკამები, მაგიდები, სხვადასხვა ჭურჭელი და აგრეთვე საომარი იარაღები, უნდა ყოფილიყო სრულიად ახალი, რადგან „ახალი ცხოვრებისათვის“ იყო დანიშნული. მათ თან ახლდა საჭმელ-სასმელი: პური, ღვინო, ლუდი, ხილი და სხვა მრავალი, რაც კი განსვენებულს სიცოცხლეში უყვარდა. გზაში ვინც კი შეხვდებოდა მუმიას, ქუდმოხდილი შესძახებდა „მშვიდობით, მშვიდობით, ოზირისთან“. ნაშუადღევს მუმიას დიდი ცერემონიით წაასვენებდნენ დასავლეთით, ლივიის მთებისაკენ: ჩვეულებრივ, ამ მთებში ჭრიდნენ და აკეთებდნენ მუმიებისათვის „მუდმივ საცხოვრებელ აკლდამებს“. აკლდამებს წინასწარ მორთავდნენ საოჯახო ნივთებით. ჩვეულებრივ მდიდრების სასაფლაოები სამი აკლდამისაგან შედგებოდა. პირველი აკლდამა დანიშნული იყო მნახველთათვის, მეორეში დგამდნენ განსვენებულის ქანდაკებას და ყველა საოჯახო ნივთსა და იარაღებს, მესამეში კი, რომელიც დაბლად იყო გაკეთებული, მოთავსებული იყო განსვენებულის მუმია. ორი უკანასკნელი ოთახი მნახველთათვის დახშული იყო. პირველი ოთახის კედლებზე ამოჭრილი იყო სხვადასხვა სურათი, აღებული განსვენებულის ცხოვრების მომენტებიდან, მაგალითად, რა საქმიანობას ეწეოდა, რადარა გართობას მისდევდა და სხვა. სურათები შეღებილი იყო ძვირფასი საღებავებით. ეს იშვიათი საღებავები ისეთი ნივთიერებისაგან იყო შემზადებული, რომ რამდენიმე ათას წლებს გაუძლეს და ჩვენს დრომდე მოაღწიეს...

როდესაც სარკოფაგს აკლდამაში შეიტანდნენ და დაასვენებდნენ, ნათესავებს გამოეყოფოდა განსვენებულის უფროსი ვაჟი და წინ წადგებოდა. მივიდოდა სარკოფაგთან და თავს ახდიდა, მუმიას ამოიღებდა და გულზე მიიკრავდა. ტუჩებით ოდნავ შეეხებოდა თვალებისა და ყურების ადგილებს და წყნარად ჩასძახებდა: „აღსდეგ, მამაჩემო! აღსდეგ, ოზირის! მე მოველ, შენი შვილი ჰორუს, რათა განგბანო და განგწმინდო შენ და დაგიბრუნო სიცოცხლე!“


ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ მ ი ა  ს ა რ კ ო ფ ა გ ა შ ი

ამ სიტყვების შემდეგ შვილი წყნარად აკოცებდა მუმიას და დარწმუნებული იყო, რომ ამ კოცნით მამას სიცოცხლეს დაუბრუნებდა, როგორც „ჰორუსმა დაუბრუნა თავის მამას—ოზირისს სიცოცხლე“.

როდესაც შვილი მამის მუმიას ჰკოცნიდა, ნათესავები და მეგობრები ერთხმად შესძახებდნენ: „ჰორუს მოვიდა, ის შენ გეხვევა, ოზირის! შენმა შვილმა ჰორუსმა დაამარცხა შენი ავი ძმა სეთი!“ ამის შემდეგ მუმიას სარკოფაგში ჩადებდნენ, თავსახურავს ტყვიით მიადუღებდნენ და მესამე აკლდამაში შეინახავდნენ. მეორე ოთახში განსვენებულის ქანდაკების წინ მაგიდას გააწყობდნენ საჭმელ-სასმელით და გამოსათხოვარ სადილს შეექცეოდნენ. სადილობის დროს ქურუმები უკრავდნენ არფებზე და გალობდნენ ოზირისის ქება-დიდებას. მოცეკვავე ქალები თმებგაშლილნი, ხელებ დაწყობილნი, მუსიკის ხმაზე აკლდამას გარშემო უვლიდნენ და ცეკვავდნენ განსვენებულის პატივსაცემად. ამ ცერემონიის შესრულე-

ბის დროს აკლდამის თავიდან ისმოდა უფროსი ქურუმის ხმა: „განვედ, შიმშილო, არ მოუახლოვდე ამ ოზირისს! ჰოი, ღმერთებო, თქვენ წაიყვანეთ ეს ოზირისი, რომელიც იცხოვრებს ისე, როგორც თქვენ ცხოვრობთ, რომელიც ჭამს იმას, რასაც ჭამთ თქვენ! იმ ქვეყანას, სადაც ეს მიდის, არ იქნება არასოდეს არც შიმშილი და არც წყურვილი".

ცრუმორწმუნე და გულუბრყვილო ეგვიპტელებს ქურუმების სიტყვები სჯეროდათ, რომ „იმ ქვეყანას ადამიანი განცხრომით და უდარდელად იცხოვრებს" და, მაშასადამე, ამ ქვეყნად ყოველგვარი შევიწროება და გაჭირვება მოთმენით უნდა აეტანათ, რათა ოზირისის სიყვარული და პატივისცემა დაემსახურებიათ...

სადილის გათავების შემდეგ მაგიდას კვლავ სანოვაგით და სასმელებით აავსებდნენ და მუმიას „სულს" დაუტოვებდნენ. ამის შემდეგ აკლდამების კარებებს მაგრად დაკეტავდნენ, რომ უცხო პირებს არ გაეღოთ და სარკოფაგი არ გაეძარცვათ. მაგრამ ქურდები მაინც ახერხებდნენ კარების გაღებას და შიგნით შესვლას. შორიახლოს უთვალთვალებდნენ და როგორც კი პატრონები წავიდოდნენ და ქვეყნად სიბნელე ჩამოწვებოდა, მდიდრის აკლდამის წინ მუშაობა გაჩაღდებოდა.

დამშეული ხალხი რაკი შიგნით შეიჭრებოდა, კარებს მოხურავდნენ, რომ შემთხვევით გამვლელს არ შეემჩნია, და სანათურს მოუკიდებდნენ. პირველად რაც მათ თვალში მოხვდებოდათ, ეს იყო ავსებული მაგიდა; ყოველივე ამას, რასაკვირველია, შთანთქავდნენ და შემდეგ კი შეუდგებოდნენ მთავარ საქმეს: სარკოფაგის და მუმიის გაძარცვას. ჯერ სარკოფაგს გარეკანს შემოაცლიდნენ, ოქროს სამკაულებს და ძვირფას ქვებს, შემდეგ თავსახურავს ახდიდნენ, ამოიღებდნენ მუმიას, შემოხსნიდნენ ფრთხილად და შემდეგ, რაკი ყველა ძვირფას სამკაულს ამოაცლიდნენ, ისევ შეხვევდნენ, მაგრამ ისე ჩინებულად შეხვევდნენ, პატრონს რომ ენახა, ვერ შეამჩნევდა მუმია გახსნილი იყო თუ არა. რასაკვირველია, გაძარცული მუმია შეუმჩნეველი მაინც არ დარჩებოდა, და აკლდამებს ღამღამობით გუშაგებს უყენებდნენ. მაგრამ ხშირად გუშაგებსაც ხიბლავდა და იზიდავდა ოქროს სამკაულები და ისინიც დაუზოგავად ძარცვავდნენ. ხდებოდა, რომ ბოროტმოქმედებს აპატიმრებდნენ და სიკვდილითაც სჯიდნენ, მაგრამ აკლდამების გაძარცვა მაინც გახშირებული იყო.

როდესაც არაბები შეიჭრნენ ეგვიპტეში, აშკარად მიჰყვეს ხელი აკლდამების ძარცვა-გლეჯას; იტაცებდნენ ყველაფერს, რაც კი მოეწონებოდათ, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდნენ, გამოქონდათ გაძარცული მუმიები და შეშის მაგივრად საწვავ მასალად ხმარობდნენ. ასეთი ბედი ეწია მუმიების უმრავლესობას.



დასაფლავების ცერემონიის დროს ქურუმები უკრავენ არფებზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# უცნაური მოვლენები



შ. თაგუკაშვილი.

ყოფილხართ თუ არა ცირკში? გინახავთ დუროვის რკინისგზა? ძალიან საინტერესო სანახავია. სადგურის უფროსი გახლავთ... კატა, მგზავრები კი — თაგვები და ვირთაგვები.

„მგზავრების“ თითოეული ჯგუფი მხოლოდ თავის ვაგონში შედის (ვაგონები სხვადასხვა ფერისაა).

საოცარია, როგორ მოახერხა დუროვმა კატის ისე გაწვრთნა, რომ იგი არცერთ ,,მგზავრს'', ე. ი. თაგვებსა და ვირთაგვებს, არა ჭამს; ჩვენ ხომ ვიცით, რა საშინელი მტრობაა კატებსა და თაგვებს შორის, და მით უფრო საკვირველია ამ ,,სადგურის უფროსის'' საქციელი!

როგორ მოახერხა დუროვმა ამ ცხოველების გაწვრთნა? — ამას ქვემოთ გავიგებთ.

ტფილისში ერთ მედუქნეს კატა ჰყავდა, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა ღამღამობით დარაჯობა, რომ... თაგვებს არ შეეჭამათ ყველი. საღამოობით მარტოდმარტო რჩებოდა დუქანში კატა და მართლაც კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. ერთი შემთხვევაც კი არ ყოფილა, რომ მას ყველი შეეჭამა.

ტფილისის ზოოპარკში ჰყავთ დათვი, სახელად არკაშკა. ის გალიაშია. როდესაც სურთ მისი გალიის გასუფთავება, მას მეორე განყოფილებაში გადაიყვანენ. ნებით არ სურს მეორე განყოფილებაში გასვლა და რა უნდა მოუხერხონ? აიღებენ და საჭმელს ჩაუგდებენ მეორე განყოფილებაში. ბევრჯერ განმეორდა ასე, და იცით, ახლა როგორ იქცევა არკაშა? მეორე განყოფილებაში რომ გავა საკვების ასაღებად, სასწრაფოდ ისევ თავის განყოფილებაში გამორბის, რომ მომვლელი იძულებული გახდეს ხელმეორედ ჩაუგდოს საჭმელი მეორე განყოფილებაში გასაყვანად.

* * *

ექიმის კაბინეტში კაცი იწვა ტახტზე. ამ კაცს კიდეც ეძინა და არც ეძინა — ძილმღვიძრად იყო. ექიმი თუ შეეკითხებოდა, ნახევრადმძინარი ადამიანი პასუხს აძლევდა.

ექიმმა ცივ წყალში დაასველა ქაღალდის ნაგლეჯი და მძინარეს თითზე დაადო, თანაც უთხრა:



აკადემიკოსი ი. პავლოვი.

— გახურებული რკინა დაგადეთ, თითი დაგეწვათ!

მძინარი შეკრთა, წამოიყვირა, ხელი გაიქნია... მაგრამ ისევ ეძინა.

— გაიღვიძეთ! — უბრძანა ექიმმა.

მძინარმა გამოიღვიძა.

ექიმმა აიღო თითზე დადებული ქაღალდის ნაგლეჯი. თითი გაწითლებული იყო, შემდეგ კი ის ადგილი, სადაც ქაღალდი იდვა, ამობურცა, შიგ წყალი ჩადგა.

თითი მართლა დასწვოდა მძინარეს.

რამ დასწვა თითი — ქაღალდმა?

არა, ქაღალდი აქ არაფერ შუაშია. ექიმს რომ არ ეთქვა თითი დაგეწვათო, არაფერიც არ მოხდებოდა. მაშ სიტყვამ დასწვა თითი? დიახ, სიტყვამ. ასეთი ცდები ბევრჯერ ჩაატარეს საზღვარგარეთ და საბჭოთა კავშირში — უკრაინის ფსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში.

ძალიან უცნაური ძალა არა ჰქონია სიტყვას?

მოდი, ჩვენც ჩავატაროთ ერთი ცდა, იმის დასამტკიცებლად, თუ რა ძალა აქვს სიტყვას.

აბა დავიწყოთ ცდა!

თქვენ ძალიან გიყვართ მჟავეულობა. სუფრა რომ გაიშლება, იმ წამსვე მჟავე კიტრს ან პამიდორს დაუწყებთ ჭამას...

წარმოიდგინეთ შემდეგი სურათი: დედა მჟავე კიტრს ჭრის. თქვენ მიაჩერებიხართ, გინდათ კიტრი შეჭამოთ. აი, ერთი ნაჭერი, აიღეთ, ჩაიდევით პირში...

პიონერებო, ეს სურათი რომ წარმოიდგინეთ, ნერწყვი ხომ არ მოგსვლიათ? ჰო? აი ხომ ხედავთ, სიტყვამ რა ჰქნა, მჟავე კიტრის ხსენებამ ნერწყვი გამოიწვია!

როდესაც მჟავეულობას ვჭამთ, ნერწყვი მოგვდის, ვინაიდან ბევრი სიმჟავე ჩვენი ორგანიზმისათვის მავნებელია, ნერწყვი კი მას უვნებელს ხდის და საჭმელის მონელებას უწყობს ხელს. ამნაირად იცავს თავს სხეული მჟავეულობის მავნებლობისაგან, მაგრამ ახლა ეს ვიკითხოთ: როდესაც ჩვენ წარმოვიდგენთ, თითქოს მჟავეულობას ვჭამდეთ, ნერწყვი რად მოგვდის? რამ გამოიწვია ამ შემთხვევაში ნერწყვის გამოყოფა?

მძინარ კაცს ექიმის სიტყვამ თითი დასწვა.

მჟავე კიტრის წარმოდგენამ ნერწყვი მოგვგვარა.

რა არის ყოველივე ამის მიზეზი?

ასეთი საკითხები აინტერესებდათ მეცნიერებს, და სწორედ ასეთი საკითხების შესწავლა-გამორკვევას შეალია მთელი თავისი სიცოცხლე მსოფლიოში ცნობილმა მეცნიერმა პავლოვმა. იგი მრავალი ათეული წლის განმავლობაში აკვირდებოდა, თუ როგორ მოსდის ნერწყვი ძაღლს.

ლენინგრადში არის პავლოვის ,,სიჩუმის კოშკები''. აქ აწარმოებდა თავის მეცნიერულ ცდებს განსვენებული აკადემიკოსი პავლოვი. ამ კოშკებში არის დიდი კამერები, რომლებშიც ვერავითარი ხმაურობა ვერ ატანს. ამნაირ კამერაში ათავსებენ ძაღლს, რომელსაც ერთ ადგილას ყბის ტყავი ისე აქვს გახვრეტილი, რომ როდესაც ძაღლს ნერწყვი მოსდის, ნერწყვი პირში კი არ ჩადის, არამედ ამ ნახვრეტში გამოდის.

კამერის გარეთ ზის ექიმი და განსაკუთრებული დურბინდით აკვირდება ძაღლის მოქმედებას, ძაღლი კი ვერ ხედავს მას.

აი, ექიმმა ხელი დააჭირა ერთ რეზინის მსხალს— და მაშინვე გაისმა ძაღლის თავთან ქანქარა-მეტრონომის ხმა. დააჭირა ხელი რეზინის მეორე მსხალს— და ძაღლის პირთან გაჩნდა საჭმელით სავსე ჯამი. უცებ შეჭამა ძაღლმა საჭმელი. ჭამის დროს ნერწყვი მოსდიოდა. ვინ ასწავლა ძაღლს ნერწყვის გამოყოფა არის საჭირო? არავინ. ასევე ემართება ადამიანსაც ჭამის დროსო. ნერწყვის გამოყოფა თავისთავად ხდება—ამას ეწოდება თანდაყოლილი რეფლექსი.

კამერაში ბევრჯერ, ბევრჯერ მეორდება ერთი და იგივე: ქანქარა-მეტრონომი დარეკავს, გამოჩნდება ჯამი სალაფავით (საკვებით), ძაღლი სალაფავის ჭამას დაიწყებს, ნერწყვი წამოუვა, და ექიმი ჩასწერს, თუ რამდენი წვეთი ნერწყვი წამოუვიდა ნახევარი წუთის განმავლობაში ყბის ტყავის ნახვრეტიდან.

ქანქარის ხმა—სალაფავი—ნერწყვი. ქანქარის ხმა—სალაფავი—ნერწყვი. ასე მეორდება ბევრჯერ.

მაგრამ აი გაისმა ქანქარის ხმა, სალაფავიანი ჯამი კი არ არის. ნერწყვი მაინც წამოუვიდა ძაღლს. რატომ მოხდა ასე? იმიტომ, რომ ქანქარის ხმამ დაიჭირა სალაფავის ადგილი.

იქნებ ძაღლი მიხვდა ქანქარის ხმა იმის ნიშანია, რომ ახლა სალაფავს მომცემენო? სწორედ ასე ხსნიდნენ პავლოვამდის მეცნიერები უსალაფავოდ ნერწყვის გამოყოფას.

ეს მეცნიერები ასე ფიქრობდნენ:

ძაღლს რომ ჯოხს მოუქნევენ—გარბის. რატომ? დამარტყამენ და მეტკინებაო,—ფიქრობს ძაღლი. ქანქარის ხმა გაისმა—მაშ ახლა სალაფავს მომცემენო.

მაგრამ ის მეცნიერები ცდებოდნენ. პავლოვმა სულ სხვა დაამტკიცა.

რა დაამტკიცა პავლოვმა?

როდესაც ძაღლი ჭამს, საჭმელი აღიზიანებს ენას და პირის თხელ კანს. ენაზე და პირში აუარებელი ნერვია. პირის თითოეული წერტილი ტვინთან არის ნერვებით დაკავშირებული. საჭმელი რომ ნერვების ბოლოებს აღიზიანებს, ეს „გაღიზიანების დენი" ამ ნერვებით მიდის ტვინში. ასე გებულობს ტვინის გარკვეული უბანი, ვთქვათ, საჭმელის უბანი, იმის ამბავს, რომ პირში მოხვდა საჭმელი. მაშინ ეს უბანი ნერვულ დენს ისევ პირისაკენ აბრუნებს. ახლა ეს დენი ნერწყვის ჯირკვლებს ხვდება, და ისინიც ნერწყვს გამოჰყოფენ. ამას ჰქვია თანდაყოლილი რეფლექსი.

თანდაყოლილ რეფლექსებს გარდა არის გამომუშავებული, შეძენილი რეფლექსებიც. ქანქარა-მეტრონომის ხმაზე ძაღლს პირველ ხანებში ნერწყვი არ მოსდიოდა, თუ სალაფავას არ მისცემდნენ, ბოლოს კი მხოლოდ ქანქარის ხმაც საკმაო იყო ნერწყვის გამოსაყოფად.

ქანქარა-მეტრონომის ხმა ყურს ხვდება და სმენის ნერვი გაღიზიანდება. ეს გაღიზიანება ტვინის სმენის უბანში მიდის ნერვით, მაგრამ ნერწყვი რამ გამოიწვია? ეს იმიტომ მოხდა, რომ სმენის უბანსა და ნერწყვის უბანს შორის გზა გაიკვალა, ყური და ნერწყვის ჯირკვალი ერთმანეთს დაუკავშირდა.

როგორც კი ქანქარა-მეტრონომის ხმა გაისმოდა, ძაღლის წინ გაჩნდებოდა სალაფავიანი ჯამი. ასე მეორდებოდა ხშირად, და ხდებოდა ორგვარი გაღიზიანება—სმენითი და ნერწყვითი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პავლოვმა ასეთი კანონი აღმოაჩინა:

„თუ ერთსა და იმავე დროს აღიძვრის გამაღიზიანებელი დენი ორ უბანში, ის უბანი, სადაც უფრო ძლიერია გაღიზიანება, თავისკენ მიიზიდავს უფრო სუსტ გაღიზიანებას მეორე უბნიდან“.

სმენითი სუსტი უბნიდან გაღიზიანებას თავისკენ იზიდავს უფრო ძლიერი უბანი — ნერწყვ-საკვების უბანი, და მათ შორის თითქოს „ბილიკი“ გაიკვალება.

კატა რომ ყველს დარაჯობს, იმასაც არა ერთხელ უგემნია ყველი წინათ, მაგრამ ყოველთვის ჩამწარდა.

დუროვის სადგურის უჯრონსი რატომ არ ჭამს თაგვებს? ისიც ასეა გაწრთვნილი.

თაგვები რაღა ყოველთვის თავის ვაგონში შედიან? იმიტომ, რომ, ვთქვათ, თეთრ თაგვებს საკვები მუდამ მწვანე ვაგონში ხვდებოდათ და ახლაც, „რკინისგზით მგზავრობის“ დროს, იმავე ვაგონში შედიან.

ხომ გახსოვთ, ექიმის სიტყვამ რომ კაცს თითი დასწვა? სადაც ქაღალდი ჰქონდა დადებული, იქ კანი გაწითლდა, ე. ი. სისხლი მოაწვა იმ ადგილს.

რამდენჯერ გაწითლებულხართ, როდესაც ცუდი რამ ჩაგიდენიათ და თქვენთის უთქვამთ — სირცხვილია, ეს რად ჩაგიდენიაო! მაშასადამე, სიტყვამ გაგაწითლათ, იმ კაცსაც ექიმის სიტყვამ თითი გაუწითლა, დასწვა.

აი გაიფიქრეთ საშინელი რაღაც — და გულმა ბაგაბუგი დაიწყო. ფიქრმა, წარმოდგენამ გამოიწვია აჩქარებული გულისძგერა.

ტვინის დიდ ნახევარსფეროში „ბილიკები“ გაიკვალა სმენის უბანსა და ტკივილის უბანს შორის. „დაგეწვათ“ — გაიგონა ყურმა, და სმენის უბანი უცებ დაუკავშირდა ტკივილის უბანს - თითი გეტკინათ, დაგეწვათ. ყველას დაეწვის თითი ექიმის სიტყვაზე? არა, ყველას არა, მხოლოდ იმეთებს, რომლებზედაც ყველაფერი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. ასეთ ადამიანს ჰიპნოზს უკეთებენ, დააძინებენ. მაშინ ტვინის დიდი ნახევარსფეროების მუშაობა დახშულია, გარდა ერთი უბნისა, რომლებიც ისმენს ექიმის სიტყვებს ტკივილისა და დაწვის შესახებ. ამ დროს ეს ფხიზლად დარჩენილი უბანი მძლავრია, ჰიპნოზის დროს მას არა ჰყავს მეტოქეები ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქში. მისი გამაღიზიანებელი დენები ისე მძლავრია, რომ შეუძლია ტკივილის უბნის ისე ამოძრავება, თითქოს მართლაც დაწვას ჰქონდეს ადგილი. აი ასე შეუძლია სიტყვას დაწვა, გულის აძგერება, ლოყების გაწითლება... — აი ასე ხსნის ა. იუგოვი პავლოვის მუშაობის დედაარსს.

ათეული წლების განმავლობაში გულდასმით აკვირდებოდა, სწავლობდა აკადემიკოსი პავლოვი ძაღლების საქციელს და, როგორც ზემოთ ვთქვით, სულ ახალი აზრი შეიტანა მეცნიერებაში. მის გასვენებას ასიათასობით დაესწრნენ ლენინგრადის მცხოვრებნი. აკადემიკოს პავლოვის საქმეს განაგრძობენ მისი მოწაფეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვინაა ლამაზი?



## ნ. ტყეშელაშვილი

— ლამაზია!

— არაა ლამაზი.

— ლამაზია!

— არაა ლამაზი.

— ვისზე ლაპარაკობთ?—შეეკითხა ტასო კლასში თავშეყრილ მოწაფეებს.

— ქეთოს დაუჟინია, ჩვენი ნელი არ არის ლამაზიო, ამაში მე არ ვეთანხმები, — უპასუხა სოფომ.

— ნელი არ არის ლამაზი ?! — გაიკვირვა ტასომ.

— არაა!—მკვახედ გაიმეორა ქეთომ.

— ნელის შავი ხავერდივით თვალები, დახატული წარბები, გრძელი წამწამი, სწორი ცხვირი, ლამაზი სიცილი, თვალები ხომ სულ უციმციმებს! მეტი რაღა გინდა?!

— ტასო! რაც შენ თქვი, სწორია, მხოლოდ თავიდათავი დაგავიწყდა: როცა ის იცინის და ლაპარაკობს, სილამაზე ეკარგება—იმ დროს 15 წლის გოგონა უკბილო ბებიას ჰგავს.

— უკაცრავად, უკაცრავად! — სკამზე შეხტა ნუციკო და იქიდან გადმოსძახა ამხანაგებს.

— თქვენ გგონიათ უკბილო ბებია, თორემ ჩემსას ყველა კბილი აქვს,—ამაყად დაუმატა მან.

— ყველა ხელოვნური აქვს,—შენიშნა ვიღაცამ.

— არა, — განმარტა ქეთომ,—მე ვიცნობ მაგის ბებიას, 60 წლისაა, ყველა კბილი თავისი აქვს.

— ნუციკო! რამდენი კბილი აქვს ბებიაშენს? შეეკითხა კატო.

— არ ვიცი, არ დამითვლია, 15-20 ექნება.

— ხა-ხა-ხა!—გადიხარხარეს ბავშვებმა.

— ნუ დასცინით, — შეაჩერა ტასომ,— თუ მაგან არ იცის რამდენი კბილი აქვს ადამიანს, მე დეიდა მყავს კბილის ექიმი და მისგან მესმის კბილებზე ლაპარაკი; ჩვენი ხნისას 28 კბილი აქვს, 17-40 წლისას ამოსდის ოთხი სიბრძნის კბილი.

— მაშ, ჩვენ იმიტომ გვეძახიან ბრიყვს, რომ სიბრძნის კბილები არა გვაქვს? — იხუმრა ვიღაცამ.

— საკვირველია, როგორ მოხდა, რომ 15 წლის ნელის კბილები არა აქვს, იქნებ შთამომავლობითაა? — იკითხა სოფიკომ.

— მე ვიცნობ ნელის დედას, მას ყველა წინა კბილი აქვს, მამასაც საღი კბილები ჰქონია. ეს ნელის სიზარმაცის ბრალია; კბილებს არ იწმენდს, გამოხრული კბილი რომ ასტკივდება, არ იწამლებს. როცა ჩატყდება და ჩალპება—ამოიღებს და ხელოვნურს იკეთებს, ხელოვნურიც არ დგება, რადგან დანარჩენი კბილებიც ირყევა. ხომ გინახავთ მესერი? როცა სარები ყველაა, ის მწყობრად, მაგრად დგას, და თუ ორი სამი სარი ამოიღე, სხვებიც დაიძვრის, დაიწყებს რყევას და მერმე წაიქცევა. კბილების საქმეც ასეა.

— მართალს ამბობს ქეთო: ვისაც წინა კბილები არ აქვს, ან ჩამომტვრეული აქვს, მას არც სიცილი უხდება, არც ლაპარაკი, ის ლამაზი არაა. ჩვენ რომ კბილებს ვიღებთ, ყბაში ცარიელი რჩება კბილის ფესვის ბუდე, ამ ბუდის კედლები შეეზრდება ერთმანეთს, ღრძილი დაბლდება. ხომ შეგიმჩნევიათ, მოხუცებულებს როგორ აქვთ ტუჩები შეწეული, ასე რომ ვინც ადრე იღებს კბილებს, ის ადრე ბერდება, სილამაზეს კარგავს. საღი კბილები სილამაზეს უწყობს ხელს და კიდევ მეტად სიჯანსაღეს.

კბილი თანაშემწეა კუჭისა. როცა კბილები საღია, კარგად ღეჭავს საჭმელს, და კუჭიც კარგად ინელებს. გაფუჭებული კბილი კი თავის მოვალეობას სუსტად ასრულებს, გამოხრულ კბილში საჭმელი რჩება, იხრწნება, ცუდი სუნი მოდის პირიდან. გამოხრულ კბილში, სადაც გახრწნილი საჭმელია, ბაცილები დაიბუდებს, წუთობით მრავლდება, საჭმელს კუჭში ჩაჰყვება და ნაწლავების ავადმყოფობას იწვევს. აი რამდენად საჭიროა ჩვენთვის საღი კბილები. დილას რომ ავდგებით, კბილები ჯაგრისით კარგად უნდა გამოვიწმინდოთ, აგრეთვე ნასადილევს და დაწოლის წინ.

— რა აფუჭებს კბილებს?

— შაქარლამა, ტკბილეულობა!—ერთხმად შესძახეს ბავშვებმა.

— მართალია, შაქარლამას რომ ჭამ ან რამე ტკბილს, პირში ჩნდება რძის სიმჟავე, რომელიც მინანქარს შლის. ხომ გინახავთ მინანქრიანი ჭურჭელი? სადაც მინანქარი გაიბზარება, იქ ჟანგი ჩნდება და თუ მალე არ შეაკეთე—ჭურჭელი წახდება, სითხე გავა. ასე მოსდის კბილსაც: სადაც მინანქარი იბზარება, იმ ადგილს კბილი ფერს კარგავს, მუქდება; თუ ყურადღება არ მიაქციე მინანქრის წახდენას, ბაცილები შიგ შევა, კბილის მეორე ფენას, ე. წ. „დენტინს", უფრო ადვილად აფუჭებს, და კბილი გამოიღრღნება. თუ პლომბი არ გაიკეთე, ბაცილები კბილის ძარღვთან მიატანს და ანთებას გაუჩენს, თუ არ უწამლე—ძარღვი მოკვდება, დაიშლება, ჩირქი გაჩნდება. ამან დიდი ტკივილი იცის, გასივდება ღრძილი, ყბა. თუ ჩირქი კბილის ფესვიდან გავიდა, მაშინ

სისხლს სწამლავს, ოპერაცია სჭირდება და ხან ისე რთულდება, რომ ადამიანი კვდება კიდეც.

ტკბილის ჭამის შემდეგ სოდის ხსნარი უნდა გამოივლოთ, აგრეთვე ყურძნის ჭამის შემდეგაც, რომ რძის სიმჟავე არ გაჩნდეს და კბილები არ დააზიანოს.

— მაშ, ამხანაგებო, ვინაა ლამაზი?—შეეკითხა ტოსო.

— ვისაც კარგი კბილები აქვს!

— ვინც კარგად უვლის კბილებს, თავის დროზე წამლობს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა




სანდრო ჟღენტი

ზღვა ღელავს და ვერცხლისფერად
ეფინება წყალზე შხეფი,
ბროლის სივრცეს მოგაგონებს,
როცა ტალღა ტალღას ებრძვის.

უცქერ გაშლილ ზღვის ფორიაქს...
წინ კი არ ჩანს ხე და მიწა,
ცის კაშკაშა დასავალზე
მზე ბურთივით სადღაც მიწვა.

მიდის გემი ოდესისკენ,
დატვირთული ძვირფას ხილით,
საღამოა...მზემ ნასხლეტი
დააფრქვია წითლად ჩრდილი.

ზღვა ბორგავს და გემი სწრაფად
მიაგორებს ზვირთზე ზვირთებს,
წყლის თამაშად ეჩვენება
ეს ხმაური და ეს სივრცე...

ახლაც ნახეთ ბობოქარი,
ინახულეთ კიდევ სხვა დროს,
მიწის გულთან მასაც მოაქვს
ციტრუსოვან ბაღის საზრდო.

მისრიალებს გემი სწრაფად,
დატვირთული ძვირფას ხილით.
საღამოა... მზემ ნასხლეტი
დააფრქვია წითლად ჩრდილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ერთი შემთხვევა ვაჟას ცხოვრებიდან

## ვ. ბუქურაულის მოგონება.



პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ ვაჟამ სოფლის მასწავლებლობა დაიწყო. სხვათა შორის, სოფ. დიდ თონეთშიც მასწავლებლობდა. იმ დროს დიდ თონეთში ცხოვრობდნენ პავლე გოგიჩაიშვილი და დიმიტრი შავშიშვილი. პირველი იყო სოფლის მსაჯული, მეორე კი მამასახლისი. მამასახლისი დიმიტრი შავშიშვილი ბოროტი კაცი იყო, მექრთამე, შურის მაძიებელი, დიდგულა. დაერეოდა ხალხს ჯოხით და ზურგზე ბოლს ადენდა. გოგიჩაიშვილი კი პატიოსანი კაცი იყო, ხალხის მოყვარული და სამართლიანი. პავლე უშლიდა მამასახლისს მექრთამეობას, ხალხის ცემა-ტყეპას, შევიწროებას და აწიოკებას, რისთვისაც მამასახლისმა გოგიჩაიშვილი ერთხელ კიდევაც დააჭერინა მაზრის უფროს—ხალხს მიჯანყებსო. მაგრამ თონეთიდან წამოვიდა მთელი ხალხი და მაზრის უფროსს სთხოვეს მისი განთავისუფლება. გოგიჩაიშვილი გაათავისუფლეს.

შემოდგომა იყო, ქორწილობა. მუქურიშვილებს ჰქონდათ ქორწილი. თამადად პავლე გოგიჩაიშვილი ამოირჩიეს. ამ ქორწილში მამასახლისი მთვრალი მოვიდა. მასპინძლები შესაფერისად დაუხვდნენ და პავლეს პირდაპირ მოათავსეს. გოგიჩაიშვილის გვერდით ვაჟა იჯდა. მამასახლისმა იკითხა: ვინ არის თამადაო. „პავლეო“ — უპასუხეს. „ე რა კაცი აგირჩევიათო“,—წამოიყვირა მამასახლისმა და დაუწყო ლანძღვა-გინება გოგიჩაიშვილს. მაშინ ვაჟამ უთხრა მამასახლისს: მამასახლისო, შენ თუ რაიმე პირადი საქმე გაქვს გოგიჩაიშვილთან სხვაა, მაგრამ აქ პატივი უნდა სცე მასპინძლებს, მექორწინეებს, ამ მოწვეულ ხალხს, ქორწილია და უნდა კარგი დრო გავატაროთო.

—ერთი შენა ხარ კარგი კაციო—შეუბღვირა მამასახლისმა ვაჟას და განაგრძო ლანძღვა. ვაჟა წამოხტა, მივარდა მამასახლისს, ბჭლიჯა ყელის მედალი, დაახეთქა მიწაზე პ. გოგიჩაიშვილის წინ, შემდეგ დაახეთქა თვით მამასახლისი, წამოაყენა, გაიყვანა კარში, ამოჰკრა პანღური და მიაძახა: წადი და ახლა სადაც გინდა იქ მიჩივლეო!

# ნიკოლოზ ოსტროვსკი

## კონსტანტინე ჭანტურიშვილი

აი გადაშლი წიგნს და იგონებ,
თითქოს გმირები თვალწინ დგებიან:
ბრძოლაში, ცეცხლში, თავგანწირვაში
გმირები როგორ იბადებიან!

დათარეშობდა პირქუში ქარი,
შენ ბრძოლის ცეცხლი გეხვია ალად;
— ცეცხლი! — იძახდი და როგორც ზარი,
შენმა ტყვიებმაც დაიგრიალა!

სამოქალაქო ომებში გაზრდილს,
პარტიის დროშა წმინდათა წმინდა
ხელში გეჭირა, არ ხრიდი დაბლა,
როცა ტყვიები ქუხდა და წვიმდა.

შენ იმ ბრძოლების მონაწილე ხარ,
ვინც ხალხისათვის გაწირა თავი;
ბრძოლამ გაგზარდა გმირებთან ერთად
როგორც გმირი და როგორც უკვდავი.

ასე ბრწყინვალე შენი წარსული
შარავანდედით მოსავს შენ სახეს;
დაე, გვითხარი, გვიამბე კიდევ
გმირობისა და ბრძოლის შესახებ!

გვითხარი, როგორ იბრძოდა ხალხი:
მოსკოვი, დონი, ვოლგა, ტაიგა...
შენ ხალხში იშვი, და ხალხის გულში
შენმა გმირობამ ძეგლი დაგიდგა!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბეთხოვენი თავის მეგობრებთან

# ეს იყო მისი სიმფონია

ბეთხოვენი! ვის არ გაუგონია ეს სახელი, ვინ არ დამტკბარა მისი მშვენიერი და ტკბილი მუსიკით! მაგრამ მეტად მწარე იყო ბეთხოვენის ხვედრი... მან ადრე დაკარგა სმენა, დაყრუვდა, და თითქოს სამყაროში უსაზღვრო მყუდროება ჩამოვარდაო, მისთვის ყველაფერი მხოლოდ მოძრაობით-ღა იყო გასაგები.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებს ბეთხოვენი ავსტრიის ერთ პატარა ქალაქ ბადენში ატარებდა, რომელიც ვენიდან 25 კილომეტრზე იყო. მას ძლივს ჰყოფნიდა საარსებოდ მცირეოდენი პენსია. მისი ეპოქის ადამიანებს არ ესმოდათ მისი, ვერ აფასებდნენ მას, და მხოლოდ ბუნებასთან საუბარშიღა ჰპოვებდა ბეთხოვენი უსაზღვრო სიამოვნებას. მას ძლიერ უყვარდა ხეტიალი ქალაქის მახლობლად მდებარე დაბურულ ტყეში, სადაც ის, ბუნების სილამაზით მოხიბლული, ივიწყებდა ცხოვრების შავბნელ სინამდვილეს და მუზებთან საუბარში ქმნიდა საკუთარი ჰარმონიული ხმების ქვეყანას.

სრულიად მოულოდნელად ვენიდან მოსული წერილი არღვევს მის მყუდროებას: ძმისწული სწერს, რომ იგი ჩათრეულია მეტად არასასიამოვნო საქმეში და მხოლოდ ბიძის იქ ყოფნა იხსნის მას.

ბეთხოვენი ქვეითად გაემგზავრა, რომ თავისი მცირეოდენი გროშები სხვა აუცილებელი საჭიროებისათვის შემოენახა. დაღამდა. ჯერ კიდევ დიდი მანძილი იყო ვენამდის, მას კი უკვე აღარ შეეძლო სიარული. მაშინ ერთ პატარა სახლს მიაშურა და თავშესაფარი ითხოვა. მასპინძლები მეტად თავაზიანი ხალხი აღმოჩნდნენ, გულთბილად მიიღეს დაღლილი მოგზაური და ვახშმითაც გაუმასპინძლდნენ. შემდეგ ბეთხოვენმა აგუზგუზებული ბუხრის წინ მდგომ სავარძელში მოისვენა, ოჯახის უფროსი კი მოძველებულ პიანინოს მიუჯდა და ნიშანი მისცა თავის სამ ვაჟს აეღოთ თავიანთი საკრავები.

დაიწყეს დაკვრა. ბეთხოვენისათვის ცხადი იყო, რომ ის, რასაც უკრავდნენ, მეტად მოსწონდათ. მათ სახეებზე უდიდესი გატაცება იხატებოდა, თითქოს სურდათ მთელი სული და გული ჩაექსოვათ ამ მელოდიაში. ქალებმაც კი მიატოვეს თავიანთი საოჯახო საქმეები და სულგანაბულნი უსმენდნენ.

ბეთხოვენი გრძნობდა, რომ მათ გულუბრყვილო სახეებზე უზენაესი განცდები იყო აღბეჭდილი და მათი გულები შეკუმშულიყო სიამოვნებისაგან. გაათავეს დაკვრა. ბედნიერებისაგან დამთვრალი გოგონა სიხარულით გადაეხვია დედას, აღფრთოვანებულმა მამაკაცებმა კი მაგრად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს, თითქოს ამით სურდათ გაეზიარებიათ მუსიკით განცდილი ღრმა შთაბეჭდილებები. შემდეგ თითქოს გამოფხიზლდნენო, ისევ აიღეს საკრავები და დაიწყეს დაკვრა. ამჟამად ჰანგი ნაღვლიანი იყო, და მათს თვალებში ცრემლი აციმციმდა.

„მეგობრებო!—გამოელაპარაკა მათ აღელვებული ბეთხოვენი, მე ძლიერ უბედური ვარ, ვინაიდან მუსიკა მიყვარს და კი არ შემიძლია მოვუსმინო მის მომაჯადოებელ ხმებს. მომეცით ნება წავიკითხო მაინც ის ნაწარმოები, რომელმაც თქვენ ასე აღგაფრთოვანათ.

მან აიღო რვეული და უცბათ... თვალთ დაუბნელდა, სუნთქვა შეეკრა, აცახცახებული ხელიდან

რვეული გაუვარდა და დაიწყო მწარედ ქვითინი: ეს იყო მისი სიმფონია!

მის გარშემო შეგროვილი განცვიფრებული ოჯახის წევრები ვერ მიმხვდარიყვნენ უცნობის ასეთი მწუხარების მიზეზს და ნიშნებით სთხოვდნენ ახსნას, მაგრამ გულის სიღრმიდან ამონახეთქი ცრემლების ღვარი აღარ აძლევდა მას ლაპარაკის საშუალებას. ბოლოს, როგორც იქნა, მოახერხა ეთქვა: „მე ბეთხოვენი ვარ“, და კვლავ მოზღვავდა თვალებზე ცრემლი.

მაშინ მის წინ მდგომმა ადამიანებმა პატივისცემით დახარეს თავები და ასე უძრავად დარჩნენ. წუთით დამყარებულ სიჩუმეში მხოლოდ ბეთხოვენის ქვითინიღა ისმოდა, რომელსაც, თითქოს ბუნებაც თანაუგრძნობსო, გარედან ქარი ღრიალით უპასუხებდა. ბოლოს წამოდგა იგი და გადაეხვია ყველას ერთად, შემდეგ აღფრთოვანებული სახით მიუჯდა პიანინოს, მისცა ნიშანი სამს ახალგაზრდას აეღოთ თავიანთი საკრავები და თვითონ შეასრულა ეს ჰანგი. ბეთხოვენი მთლად გრძნობად იყო გადაქცეული, და მართლაც არასოდეს არ ყოფილა მუსიკა ასე ლამაზად და კარგად შესრულებული. როცა გაათავეს, იგი დარჩა პიანინოსთან და მარტომ შეასრულა მრავალი ახალი ჰანგი ბედნიერებისა და მადლობისა, რომელიც მას არასოდეს არ დაეწერა. იგი დიდხანს უკრავდა გატაცებით.

ეს იყო მისი უკანასკნელი კონცერტი... აღელვებულ ბეთხოვენს ძალა დაატანეს დაწოლილიყო. ღამე კი მას სიცხე მისცა, სული ეხუთებოდა დახშულ პატარა ქოხში, იგი წამოდგა, მისთვის საჭირო იყო მეტი ჰაერი, ფეხშიშველი გავიდა გარეთ. მოუსვენარ ქარს ბრძოლა გაემართა ხის ტოტებს შორის; არ ინდობდა არაფერს, რაც კი წინ შეხვდებოდა. ბეთხოვენი მთლად გათოშილი დაბრუნდა დასაწოლად და აღარც ამდგარა: ვენიდან მოსულმა ექიმმა დაადასტურა, რომ მას გულის წყალმაკი გასჩენოდა და მისი სიცოცხლე განწირული იყო.

უკანასკნელ წუთებში მისი მეგობარი ჰუმელიც მოვიდა საშველად და დასახმარებლად, მაგრამ გვიანღა იყო. ბეთხოვენი სრულიად აღარ იღებდა ხმას, მან მხოლოდ შეხედა ჰუმელს და აგრძნობინა, რომ იცნო იგი. ჰუმელი დაიხარა საწოლთან და აკუსტიკური მილის შემწეობით (რითაც ბეთხოვენს შეეძლო ზოგიერთი ხმამაღლა წარმოთქმული სიტყვის მოსმენა) გადასცა ბეთხოვენს, რომ ძალიან სწუხდა მის ამ მდგომარეობაში ყოფნის გამო. ბეთხოვენი გამოცოცხლდა ამ ხმაზე, დამწუხრებული მეგობრის სახეს მიაპყრო გაბრწყინებული თვალები და წარმოთქვა: „ხომ მართალია, ჰუმელ, რომ მე ნიჭი მქონდა“. ეს იყო მისი უკანასკნელი ამოსუნთქვა. თვალები უძრავი დარჩა, ნახევრად ღია, და გაქრა მისი სიცოცხლე.

თარგმნილი ფრანგულიდან **ს. ბედუქაძის** მიერ

# ცოცხალი ტყუილი



(ზღაპარი, ჩაწერილი იმერეთში გ. ლომთათიძის მიერ)

დაძმობილდნენ კუტი, ბრმა და ტიტველა. წავიდნენ სანადიროდ. ბრმამ ხეზე ჩიტი დაინახა, ესროლა თოფი და მოჰკლა, კუტი გაიქცა და მოარბენინა, ტიტველამ კალთაში ამოიდო.

წავიდნენ ქვაბის საძებრად — უნდოდათ ნანადირევის მოხარშვა. მივიდნენ ერთ ალაგას, ნახეს სახლი. სახლს ჰერი აქვს და კედლები არა. გააღეს კარი და შევიდნენ შიგ. მოძებნეს ჩიტის მოსახარშავი ჰურჭელი. ნახეს ქვაბი. ქვაბს გვერდები აქვს, ფსკერი არა. დაგრიხეს წნელები. გამოუღობეს ქვაბს ფსკერი. ჩადეს შიგ ჩიტი, ჩაასხეს წყალი, შეუნთეს ცეცხლი, მოხარშეს ჩიტი. ამოიღეს და შეჭამეს. ქვაბში დარჩა ერთი კოვზი წვენი.

— ვინ შეჭამოს ეს ერთი კოვზი წვენიო? — იკითხეს, — ვინც უკეთესი ტყუილი თქვასო.

დაიწყო კუტმა:

— მამაჩემი ძალიან მდიდარი იყო. ერთ დიდ მთას იმისი ცხვრის ფარა ფარავდა. მამას მთი-



დან დაწყებული ქალაქამდის მილი ჰქონდა გაყვანილი. ჩაუშვებდა მილში რძეს, რძე ქალაქში ჩამოდიოდა. ქალაქში მუშტრები რძეს დაირიგებდნენ, რძის ღირებულებას მილში ჩაყრიდნენ, ფული მთაზე მოუვიდოდა მამაჩემს, და ვიყავით კარგ ცხოვრებაში.

ახლა ბრმამ დაიწყო:

—მამაჩემიც განთქმული იყო სიმდიდრით: უთვალავი ბატი ჰყავდა. ერთ საღამოს, ვნახოთ. ერთი ბატი არ დაბრუნდა შინ საძოვრიდან, მამამ საძებრად გამგზავნა. წაველი, ვეძებე, ვეძებე, ვერსად ვნახე. წამოველი შინისაკენ. გზაზე წავაწყდი, დაუჭერია ჩვენი ბატი ტურას და ნახევარი მხარე შეუჭამია. მივვარდი, ტურა დავაფრთხე. მოვგრიხე წნელები, გამოვუწანი გვერდები, წნელით გავუკერე შეჭმული მხარე. შევჯექი ზედ და მოველი შინ.

ახლა ტიტველმა დაიწყო:

—მამაჩემიც დიდი მდიდარი იყო: უთვალავი ფუტკარი ჰყავდა. ყოველდღე დილით და საღამოთი წასვლის და მოსვლის დროს ითვლიდა ფუტკრებს სკასთან. ერთ საღამოს ნახა — ერთი ფუტკარი დაჰკლებოდა. გამგზავნა საძებრად. შემოვვლე მთები, ველები, ჭალა-ტყეები, — ვერსად ვნახე. შინისაკენ რომ მივდიოდი, გავიხედე — ერთ მინდორზე კაცს გუთანი გაუმართავს და მიწასა ხნავს. მიველ მასთან, ვნახე გუთანში ჩემი ფუტკარი შეუბამს და იმით ხნავს. გავბრაზდი. დავუწყე ყვირილი: „ჩემი ფუტკარი რათ შეგიბამს გუთანში მეთქი? — ტყუილა დადიოდაო, — მიპასუხა, — მინდორში ბალახსა სძოვდა, დავიჭირე და შევაბიო. მივვარდი, გამოვხსენი და წამოვიყვანე. შინ რომ მივიყვანე, ვნახე — კისერი გასიებოდა, წამლად მასწავლეს კაკლის წენგოთი კისრის დაზელა. დავუზილე კისერი კაკლის წენგოთი. ფუტკრის კისერზე უზარმაზარი კაკლის ხე ამოვიდა. ზედ ყვავი შემოჯდა და კაკლების ჭამა დაიწყო. ავიღე მიწის გოროხი და ვესროლე გასაფრთხობლად, გაჩნდა კაკლის წვეროზე სამი დღიური სახნავ-სათესი მიწა. შევიდგი კიბე, ავედი ზედ. გავიხედე — ცალ მხარეზე ბუჩქნარია. იქით გავისეირნე. უცბათ ბუჩქებიდან მელა გამოხტა, ვესროლე დანა, მოხვდა ფერდში, გაიპო ფერდი, გამოვარდა იქიდან ქაღალდი. მიველ და წავიკითხე...

—რა ეწერაო? — ჰკითხეს ძმობილებმა.

—შიგ ეწერაო: ტიტველსა — წვენიო, კუტსა და ბრმასა — არაფერიო.

ჩაიხედეს ქვაბში და ის წვენიც გასულიყო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუსიკალური გამოცანა

ტექსტი მ. ც.

მუსიკა თამარ შავერზაშვილის




ბავშვები ღუღლამოვითი: მეხანძრეთა რაზმია, მეხანძრეთა რაზმი!..

მთ. № 3—3902. შეკვ. № 3964, ტ. 13800. ს. კ. პ. (ბ) ც. კ. გამ. ააი. ს. თოდრიას სახ. „კომუნისტის" სტ.-კამის ქ. № 68.